# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 1 დეკემბერი. 2016 წ. №224 (8115), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ეკონომიკა და ფინანსები

# ლარის სტიმულირება თუ მკვლელობა?



## სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმას ღვარძლიანი კრიტიკოსები გამოუჩნდნენ

③

# საქართველომ ზედმიწევნით შეასრულა საკუთარი ვალდებულებები, ახლა ჯერი ევროკავშირზეა!

**გიორგი კვირიკაშვილი ევროპარლამენტის პრეზიდენტს შეხვდა**

**„საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხები, 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი და ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესი“,** — აღნიშნული თემების განსახილველად საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი კვირიკაშვილმა პირველი შეხვედრა ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან გამართა. მხარეებმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითად საკითხებზე იმსჯელეს.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ქვეყნისთვის გადამწყვეტი რეფორმების განხორციელების პროცესში ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა განუხრელად ახორციელებს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის კურსს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ვიზალიბერალიზაციის საკითხებზე. მხარეთა შეფასებით, საქართველომ ზედმიწევნით შეასრულა საკუთარი ვალდებულებები, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები და ახლა ჯერი ევროკავშირზეა, რათა წარმატებით დასრულდეს ვიზალიბერალიზაციის პროცესი.

საუბარი შეეხო საქართველოში დემოკრატიული რეფორმების, მათ შორის მართლმსაჯულების რეფორმის ეფექტიანად გატარების მნიშვნელობას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ევროპარლამენტის პრეზიდენტმა განიხილეს რეგიონის უსაფრთხოების თემები და არსებული გამოწვევები, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება. გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა მარტინ შულცს არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისა და ევროპარლამენტის მიერ საქართველოსათვის სხვადასხვა სფეროში გაწეული თანადგომისთვის.



**ვაი სირცხვილო!**

## 50 ქართველი მძარცველი ესპანეთში!

**ესპანეთის** პოლიციამ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური სპეცოპერაციის დროს ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების 50-მდე წევრი დააკავა. სპეცოპერაცია მადრიდში, ბარსელონაში, სევილიასა და ბარაკალდოს დასახლებაში ჩატარდა. დაკავებულებს ბრალად ასობით ბინის ძარცვა და ძვირფასეულობისა და საათების მოპარვა ედებათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავების ოპერაციაში, ესპანური მხარის გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშე ესპანეთში და საფრანგეთის პოლიცია. საქართველოს მოქალაქეებთან ერთად დაკავებულია ესპანეთის რამდენიმე მოქალაქეც.

## საქართველოში შიდსით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისსა და სამეგრელოშია!

**ინფექციური** პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინფორმაციით, შიდსით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში — 2072 და სამეგრელოშია — 811 რეგისტრირებული.

მესამე პოზიციას იკავებს იმერეთი, სადაც შიდსით დაავადების 781 შემთხვევა გამოვლინდა, შემდეგ მოდის აჭარა — 697 და 401 შემთხვევით — აფხაზეთი. ყველაზე ცოტა, 24 შემთხვევა სვანეთში აღირიცხა.

შეგახსენებთ, რომ დღეს, 1 დეკემბერს ყოველწლიურად მსოფლიო შიდსის დღე (ინგლ. World AIDS Day) აღინიშნება და შიდსის პანდემიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

შიდსმა მსოფლიოში 2007 წლისთვის 25 მილიონი იმსხვერპლა, ხოლო დაახლოებით 38,6 მილიონი ვირუსმატარებელია, რაც მას ყველაზე დესტრუქციულ ეპიდემიად აქცევს ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში სულ აივ ინფექციის რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა 6065-ს აღწევს, რომელთა შორის, 4508 — მამაკაცი, 1557კი ქალია. შიდსი განუვითარდა 3399 პაციენტს, 1201 გარდაიცვალა.



## დღევანდელ ნომერში გასრულებთ ცნობილი ბრაზილიელი მწერლის პაულო კოელიოს „ნათლის მხედრის წიგნის“ პუბლიკაციას





# ვის მოუწევს მინისტრების იპოთეკური სესხების დაფარვა?

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც 2015 წლის იანვრამდე დოლარში აღებული სესხები ლარში 2.30 კურსით გადაკონვერტირდება და მსესხებელს ამ კურსით მოუწევს ვალის დაბრუნება, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.**

საზოგადოების დიდი ნაწილი ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ეს ნიშნავს, მოქალაქეებმა საკუთარი ჯიბიდან დაფარონ სხვისი ვალები.

უფრო მეტიც, როგორც დეკლარაციებიდან ირკვევა, მინისტრთა უმრავლესობას ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე მსხვილი იპოთეკური სესხები აქვთ აღებული,რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის ახალი რეგულაცია მათაც შეეხებათ. არასამთავრობო ორგანიზაცია მედიატორის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბიძიშვილი ასაჯაროებს მინისტრების იპოთეკურ სესხებს დოლარში და „პირველ რადიოსთან“ აცხადებს, რომ მათი სესხების დაფარვაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს მოუწევთ, რომლებსაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში აგდებს ლარის ყოველდღიური გაუფასურება.

**„დიმიტრი ქუმსიშვილს 2014 წელს იპოტეკური სესხის სახით აღებული აქვს 59 000 ამერიკული დოლარი, ხოლო 2015 წელს – 20 000 ამერიკული დოლარი. გიორგი გახარიას 2015 წელს აღებული აქვს 11 370 ამერიკული დოლარი. სოზარ სუბარს 2013 წელს აღებული აქვს 140 000 ამერიკული დოლარი. ალექსანდრე ჯეჯელავას – 2015 წელს აღებული აქვს 46 300 ამერიკული დოლარი. მიხეილ გიორგაძეს 2013 წელს აღებული აქვს 50 000 ამერიკული დოლარი. ტარიელ ხეჩიკაშვილს 2014 წელს აღებული აქვს 513 000 ამერიკული დოლარი., ხოლო თეა წულუკიანს 2013 წელს აღებული აქვს 39 840 ამერიკული დოლარი,“.**

**„ამ მინისტრების იპოთეკური სესხების დაფარვა უნდა მოხდეს თითოეული მოქალაქის ჯიბიდან, საინტერესოა, რომ ლარიც და ეკონომიკაც თავად ჩააგდეს ამ დღეში და ახლა მათი პირადი ვალების დაფარვაც მოსახლეობას მოგვიწევს.“** – ამბობს დიმიტრი ბიძიშვილი „პირველ რადიოსთან“.



# ეს იაცეკ ვოლსკია თუ გაცოფებული ევრონაციონალი „მგელაძე“?

**ევროპარლამენტის დეპუტატების ნაწილი სხვა კოლეგების პოზიტიური განცხადებების პარალელურად ფიქრობენ,რომ საქართველოს ყველა დავალება არ შეუსრულებია.** იაცეკ სარიუშ ვოლსკის განცხადებით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მიღებისთვის სამი მთავარი პუნქტი არ შეუსრულებია.

**„საქართველოს მხრიდან იყო დაპირება, რომ გაათავისუფლებდნენ პოლიტპატიმრებს, არ განხორციელდებოდა ზეწოლა საკონსტიტუციო სასამართლოზე და ქვეყანაში დარჩენილ ერთადერთ თავისუფალ ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე. მოქმედი მთავრობა აცხადებს, რომ ყველაფერი კარგადაა. მაგრამ ყველაფერი კარგად არ არის. მათი დაპირება, ჩემი აზრით ნაადრევი იყო, რადგან საქართველოში არანაირი მოტივაციაა პოლიტპატიმრები გაათავისუფლონ, პატივი სცენ საკონსტიტუციო სასამართლოს ავტონომიასა და დამოუკიდებლობას, მედიაპლურალიზმს და პირდაპირ რომ ვთქვათ, თავი შეიკავონ „რუსთავი-2“-ის ხელში ჩაგდებისგან. რუსთავი ორის გარეშე საქართველოში დემოკრატია ეჭვქვეშ დგება...**



# მიხეილ ჯანელიძე: კრიტიკა არ მომისმენია!

EPP-ის ვიცეპრეზიდენტის იაცეკ სარიუშ-ვოლსკის განცხადებებს „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეხმაურება. მიხეილ ჯანელიძე ამბობს, რომ მას ეს კრიტიკა არ მოუსმენია.

**„ის კრიტიკა, რომელიც თქვენ ახსენეთ, არ მომისმენია, მაგრამ ერთმნიშვნელოვანია საქართველოს პროგრესი ევროინტეგრაციის გზაზე, რომელიც აღინუსხა არა მარტო ვიზალიბერალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებით, არამედ დღეს გამოქვეყნებული ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის რეპორტში,“** – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ თემის კომენტირებისას.

# დავით უსუფაშვილის მიერ წარდგენილი ზაზა რუხაძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობაზე უარს ამბობს

**საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის კვოტით დასახელებული მოსამართლეობის კანდიდატი ზაზა რუხაძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობაზე უარს ამბობს. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე რუხაძის განცხადება დეპუტატებმა ცნობად მიიღეს. რუხაძის კანდიდატურა მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა დაასახელა.**

საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის კვოტა ამ დრომდე ასათვისებელია. პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს ორ მოსამართლეს პრეზიდენტი ასახელებს, ერთს – უზენაესი სასამართლო. ხოლო ერთი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს პარლამენტს, რომელსაც დეპუტატებმა ნდობა უნდა გამოუცხადონ.

# რას დაათრევენ ამ „ბუსუსებიან პრეზერვატივებს?“

**პარლამენტის ბიურომ კანონპროექტი ე.წ. ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ უკან გაიწვია. გახმაურებული კანონპროექტი წინა მოწვევის პარლამენტის დროს დარეგისტრირდა, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.** ინიციატივის ავტორი კი ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი იყო. ის პირველი მოსმენით განიხილეს, თუმცა ამის შემდეგ განხილვის პროცესი აღარ გაგრძელებულა.

# ენიდან ძალად ამოგლეჯილი ინფორმაცია!




**„შესაბამისი დიპლომატიური არხების მეშვეობით ვსაუბრობთ და გადავცემთ ჩვენს წუხილებს“,** – ასე უპასუხა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ჯონ კირბიმ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შეკითხვას შერჩევით სამართალთან და პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. „რუსთავი-2“ დაინტერესდა, კვლავინდებურად არის თუ არა საქართველოს ხელისუფლებასთან კომუნიკაციის საგანი პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, კერძოდ, გიგი უგულავას საქმე, რაზეც შეერთებულ შტატებს შეშფოთება არაერთხელ გამოუხატავს წარსულში.

**„ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამ სახის მოვლენებს. ეს კვლავინდებურად ჩვენი შეშფოთების საგანია. დიპლომატიური კომუნიკაციის დეტალებში არ შევალ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ, შესაბამისი დიპლომატიური არხების მეშვეობით ვსაუბრობთ და გადავცემთ ჩვენს წუხილებს“,** – თქვა სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა.

# „სერიოზულ დანაშაულთან გვაქვს საქმე... რას აკეთებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი?!“

ონლაინ სესხები ასაკრძალია – აცხადებს „ქართული ოცნების“ წევრი გოგლა ჟვანია. ჟვანიას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან შეკითხვები აქვს და ამბობს, რომ შეთავაზებები, რომლებიც ტელეფონზე მესიჯად მისდის, პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კანონის პირდაპირი დარღვევაა: **„ონლაინ სესხები, ბუნებრივია, ასაკრძალია, არანორმალური პროცენტებია. სერიოზულ დანაშაულთან გვაქვს საქმე. პირადად მე განუწყვეტლივ მომდის მესიჯები, სხვადასხვა შეთავაზებები სესხებზე. ეს არის პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კანონის პირდაპირი დარღვევა. მე ძალიან მაინტერესებს რას აკეთებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ძალიან სერიოზული დანაშაულია, ამას აქვს მასობრივი სახე. როგორ ხდება ამ ორგანიზაციების მხრიდან ჩემს პირად მონაცემებზე წვდომა, მე არ ვიცი. ეს კანონიერად ვერანაირად ვერ მოხდება. აკრძალვასთან ერთად უნდა აგონ პასუხი იმ ადამიანებმა, რომლებიც უამრავი ადამიანის პირად მონაცემებს გასცემენ. ძალიან მაცდურია გაჭირვებულ ქვეყანაში, როდესაც ადამიანებს ძალიან უჭირთ, რაღაც ლამაზი რეკლამა გაჩნდეს – „მოდი უფასო ფულს მოგცემთ“. საქართველოში მოქალაქეების უმრავლესობას აქვს ფულის ყოველდღიური დეფიციტი, მახეში ებმებიან და დამოკიდებულები ხდებიან ამ ფინანსურ ინსტიტუტებზე. ეს საკითხი არის სერიოზულად მისახედი“,** – განაცხადა ჟვანიამ.



# საწვავი გაძვირდება და 2 ლარის ფარგლებში დარჩება

**„რუსთავი-2“-ის ეთერში, გადაცემა არჩევანში გამართულ დებატებზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილის დასმულ კითხვაზე „გაძვირდება თუ არა ბენზინის და დიზელის ფასი საწვავის აქციზის გაძვირებასთან ერთად?“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დადებითად პასუხობენ.**

**„საწვავი გაძვირდება და 2 ლარის ფარგლებში დარჩება“,** – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე.

# საქართველო-უკრაინის ბიზნეს-ფორუმი თბილისში

**2016 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, თბილისში საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმი გაიმართა.**

პოტენციურ ბიზნესპარტნიორებს შორის საქმიანი შეხვედრები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სასტუმრო „ძველ თბილისში“ დაგეგმა. ქართული მხრიდან ბიზნესის ორმხრივ შეხვერებში მონაწილეობა 30-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო. გაიმართა ათობით პირისპირ შეხვედრა. უკრაინის ბიზნესდელეგაცია საქართველოში 28 ნოემბერს ჩამოვიდა. მის შემადგენლობაში უკრაინის ბიზნესსექტორის 20-მდე წარმომადგენელია, რომლებმაც პალატის მიერ დაგეგმილ ბიზნესფორუმში მიიღეს მონაწილეობა. უკრაინულ კომპანიებს შორის არის „ლნვ ლიმიტედი“, რომელიც აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს პროდუქცია „Nemiroff“-ის ბრენდის ქვეშ. ასევე, „ვინიცას ეთერზეთების კომბინატი“ – ერთ- ერთ დიდი და ძლიერი საწარმო ევროპაში, რომელიც ამუშავებს ზეთოვან კულტურებს და აწარმოებს მცენარეულ ზეთებსა და ცხიმებს უკრაინაში. დელეგაციის შემადგენლობაშია „არგანა ფრუტ უკრაინა“-ც, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საწარმოს უკრაინაში, რომელიც სპეციალიზდება ხილისა და კენკრის დამუშავებაში და შეიცავს სრულ ციკლს – ნედლეულის საწყის დამუშავებას წარმოებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე.

**ვიზიტის მიზანი ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობის დამყარება და ინვესტიციის განხორციელების მიზნით საიმედო მოკავშირეების მოძიებაა. უკრაინული ბიზნესდელეგაციის ძირითად ინტერესის სფეროს სოფლის მეურნეობა, ალკოჰოლური სასმელები და სამშენებლო სექტორი წარმოადგენს.**



# პატიმართა მწამებლები პასუხისგებაში მისცეს

**სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2009-2012 წლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის №4 დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში, კობა ანთიასა და ონისე ლაგვილავას მხრიდან სისტემატურად ადგილი ჰქონდა პატიმართა დამცირებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას. დაწესებულებაში შეყვანისთანავე ხდებოდა პატიმართა უმრავლესობის გაშიშვლება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მათი უმოწყალოდ ცემა დაშინებისა და უსიტყვო მორჩილების მიზნით, დაშანტაჟება და მუქარით თანამშრომლობაზე დაყოლიება.**

კობა ანთიასა და ონისე ლაგვილავას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამნისტიის აქტის გამოყენებით შეუმცირდათ დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, სასჯელის სახით განესაზღვრათ 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე 2 წლისა და 3 თვით ჩამოერთვათ თანამდებობის დაკავების უფლება.

# სტიმულირება თუ მკვლელობა?

## ახალი რეგულაციები ლარის რეანიმირებისთვის

**საქართველოს ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში უკვე 2 ლარი და 53 თეთრია. ამით გამოწვეული მზარდი უკმაყოფილების ფონზე მთავრობამ გუშინ ლარის სტაბილიზაციის მიზნით შემუშავებული რამდენიმე ინიციატივა გააჰმიანა. კერძოდ, 2015 წლის 1 იანვრამდე უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებსა და ცვლადი განაკვეთის ყველა სესხისათვის ეროვნული ბანკი წინასწარ დაფარვის საკომისიოს აუქმებს; მოსახლეობას საშუალება ექნება, 2015 წლამდე დოლარში აღებული სესხები გადაალაროს არსებულს მინუს 20 პუნქტის კურსით (მაგალითად, 2.50 კურსის შემთხვევაში გადალარდება 2.30 კურსით); იკრძალება ახალი სესხების დოლარში გაცემა; ნებისმიერი პროდუქციის გაყიდვისას კომპანიებმა ფასი ლარში უნდა გამოაცხადონ; ონლაინ-სესხები იკრძალება. გარდა ამისა, მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და ბიუროკრატიული აპარატი; 10%-ით მცირდება შრომის ანაზღაურების ფონდი, 10%-ით მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები. იზრდება აქციზი თამბაქოს ნაწარმზე (0.60 თეთრი); იზრდება იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთი; 60-ით მცირდება აქციზის გადასახადი ჰიბრიდული და ელექტრომანქანების იმპორტზე.**



თუმცა ამ ინიციატივებს ეკონომიკური მიმართულების ექსპერტთა ნაწილის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. მათი განხორციელების შემთხვევაში სპეციალისტებს ქვეყნის ახლო მომავალი კიდევ უფრო დრამატულად ესახებათ.

**„ონლაინ-სესხების გაუქმება ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, კონკურენციას ამცირებენ საბანკო სექტორში, რაც საპროცენტო განაკვეთის დაწევას კი არა, აწევას გამოიწვევს და სესხების აღება ჩრდილში გადაინაცვლებს. ხალხი მოიგონებს სხვადასხვა მეთოდს იმისთვის, რომ შემოუაროს ამ რეგულაციებს, რომლებიც არ იქნება ეფექტური და ამ ყველაფრის შედეგად კიდევ უფრ მეტი ზეწოლა იქნება ლარზე,“** — ფიქრობს ექსპერტი **გიგა ბედინეიშვილი**.

ეკონომისტი **ზვიად ხორგუაშვილი** ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის მსგავსი ცვლილებების განხორციელება მიზანშეწონილი არაა, ვინაიდან **„ვერანაირი ტიპის ბიზნესის აკრძალვა სიმდიდრეს ვერ მოიტანს“:**

**„ნებისმიერი ბიზნესი ქმნის სიმდიდრეს. თუ ვინმეს ავუკრძალავთ კონკრეტულ საქმიანობას, ეს სიმდიდრე აღარ შეიქმნება. ნებისმიერი სახის შეზღუდვა იწვევს სიმდიდრის შემცირებას. ეს კონკრეტული ინიციატივა არ აწყობს არავის. ეს რეალურად, პოპულისტური საუბრებია. ფიქრობენ, რომ ბევრი ადამიანის გულს მოიგებენ ასეთი განცხადებებით, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. შეუძლებელია, ამ ინიციატივებმა დადებითი გავლენა იქონიონ ქვეყნის ეკონომიკაზე“.**

რაც შეეხება გადასახადების ზრდას, ხორგუაშვილის აზრით, აქციზის გაზრდა სარისკოა, რადგან იმპორტს შეზღუდავს.

**„მთავრობა უნდა ეცადოს, ნაკლები ხარჯოს და ეკონომიკის სტიმულირება გადასახადების არა ზრდით, არამედ შემცირებით მოახდინოს,“** - ამბობს ექსპერტი.

ეკონომისტი **ლევან კალანდაძე** კი ფიქრობს, რომ გეგმამ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უნდა შეუმციროს რისკები, რომლებიც კურსის ცვლილებისას ფინანსური დანაკარგების სახით უჩნდებათ:

„სწორი აქცენტია გაკეთებული, როცა ვსაუბრობთ ხარჯების შემცირებაზე. სასურველი იქნება, რომ ხარჯების ოპტიმიზაცია 2017 წლის გარდა, 2018 წელსაც გაგრძელდეს. შემდეგი თემა უკავშირდება აქციზის განაკვეთის ზრდას. იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ განაკვეთის მატება საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლებში მივიღოთ ზრდა. აქციზი არის უნიკალური გადასახადი იმ თვალსაზრისით, რომ პირდაპირ იწვევს იმპორტის შემცირებას. იმპორტის შემცირება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენთვის, რადგან უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი, უარყოფითი სალდო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას“, — განაცხადა კალანდაძემ.

ოპტიმისტურად არის განწყობილი საპარლამენტო უმრავლესობაც. „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატების აზრით, აქციზის ზრდა და საწვავის გადასახადის მატება არსებულ ვითარებაში საუკეთესო გადაწყვეტილებაა.

**„საზოგადოების დაკვეთაა, ხელისუფლებამ ონლაინ-სესხების სფერო ისე დაარეგულიროს, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია. ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით ჩვენი და მოსახლეობის განწყობები ერთმანეთს ემთხვევა. ცვლის თუ არა ის ეკონომიკური გეგმა, რომელიც ჩვენ შემოგთავაზეთ, ფასების პოლიტიკას? გეტყვით, რომ, მაღალი ალბათობით, არ ცვლის,“** — განაცხადა დეპუტატმა **არჩილ თალაკვაძემ**.

საპარლამენტო უმცირესობაში კი მიაჩნიათ, რომ ახალი რეგულაციები ეკონომიკურ ზრდას კიდევ უფრო შეამცირებს.

**„იმის მაგივრად, რომ რეგულაციები გაამარტივონ, შემოდიან ახალი რეგულაციებით, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ბიზნესგარემოს და შეამცირებს ეკონომიკურ ზრდას. არც ერთ კომპონენტში არ აკეთებენ იმას, რაც გასაკეთებელია და აკეთებენ სრულიად საპირისპიროს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს არათუ მოიტანს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, არამედ საერთოდ მოკლავს ეკონომიკას,“** — განაცხადა დეპუტატმა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა**.

**ცნობისთვის: ე.წ. ლარიზაციის გეგმის ინიციატორ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს საბანკო ვალდებულება დოლარში გააჩნია. 2016 წლის იანვარში შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მთავრობის მეთაურს ბანკ „ქართუდან“ ბოლო წლებში ორი იპოთეკური სესხი აქვს გამოტანილი. კერძოდ, კვირიკაშვილმა პირველი სესხი — 120 ათასი აშშ დოლარი 2012 წელს გამოიტანა, ხოლო მეორე, რომელიც 173 500 აშშ დოლარს შეადგენს — 2015 წელს. პირველი სესხის გადახდა კვირიკაშვილმა 2015 წლის ივლისში დაასრულა, ხოლო მეორეს გასტუმრება 2030 წლის ივლისამდე მოუწევს.**

**„აქცენტი“**

## უძრავი ქონების ფასის რეკლამირება დოლარით არასწორია!

დეველოპერული კომპანია ვალდებული იქნება, უძრავი ქონების ფასი მიუთითოს ლარით —აცხადებს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, უძრავი ქონების ფასის რეკლამირება დოლარით ხდება, რაც ეკონომიკური შინაარსით არასწორია:

**„არდა ამისა, პირველადი მშენებლობის ხარჯის უმეტესი ნაწილი არის ეროვნული ვალუტით, აქედან გამომდინარე, ეს არასწორი პრაქტიკაა. დეველოპერებიც, ყველა საუბრობს, რომ თუ უძრავი ქონების ფასდადება იქნება ლარით, ეს გაზრდის პროგნოზირებადობას, შეამცირებს ამ ბიზნესში პრობლემებს და რისკებს. მრავალმა ქვეყანამ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება და საბოლოო ჯამში აისახა იმაში, რომ მოსახლეობამ დაივიწყა უძრავი ქონების ფასები დოლარით და გადაერთო ადგილობრივ ვალუტაზე. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ დეველოპერული კომპანია ვალდებული იქნება, ფასი მიუთითოს ლარით, თუმცა, ამავე დროს ის არ იზღუდება, თუ მას სურვილი ექნება, ფასი მიუთითოს დოლარითაც და ნებისმიერი სხვა ვალუტითაც“,** —აღნიშნა მესტვირიშვილმა.



## არჩილ მესტვირიშვილი: სესხების ლარში გადაყვანა ნებაყოფლობითი პროცესია

2015 წლის 1 იანვრამდე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირის სესხების ლარში გადაყვანა ნებაყოფლობითი პროცესია - განაცხადა სებ-ის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა. მესტვირიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მოსახლეობის უმეტესობა გამოიყენებს შანსს, სავალუტო რისკზე და კურსზე დამოკიდებულება მოიცილოს. როგორც მესტვირიშვილმა აღნიშნა, ეროვნული ბანკი დაეხმარება კომერციულ ბანკებს ამ პროცესში და ასევე მთავრობა ხელს შეუწყობს ხარჯების დაფინანსებით.

**„ამაზე მეტი დეტალები ჩვენს ვებგვერდზე იქნება ხელმისაწვდომი, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან დიდი ინტერესი იქნება მოსახლოების მხრიდან, მას, ვისაც ეხება ეს პროცესი. ბანკები იქნებიან ვალდებულები, დაუკავშირდნენ იმ მსესხებლებს, ვისაც შეიძლება შეეხოს ეს პროცესი და სრული დეტალები შეატყობინონ...**

# სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმას ღვარძლიანი კრიტიკოსები გამოუჩნდნენ

**ქვეყნის სწრაფი განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე სამოქმედო გეგმა წარადგინა, რომლის მიხედვით: ქვეყანაში ონლაინ-სესხების გაცემა აიკრძალება, მომავალი წლის იანვრიდან 100 000 ლარამდე სესხი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ იპოთეკურ სესხებზე მთავრობა 20-თეთრიან სუბსიდიას გეგმავს. გაიზრდება თამბაქოზე და ნავთობპროდუქტებზე აქციზი, გაიზრდება ავტომობილებზე იმპორტის გადასახადი, სათამაშო ბიზნესში მოსაკრებელი, ფასდადება სავალდებულო გახდება ლარში. მთავრობა ამავდროულად 10-10 პროცენტით ამცირებს სახელფასო ბიუჯეტის ფონდს და ადმინისტრაციულ ხარჯებს.**

კვირიკაშვილმა თქვა, რომ რადიკალური ცვლილებების გარეშე სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ვერ მოხერხდება. მოსახლეობა და ბიზნესი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პრემიერის განმარტებების მოლოდინშია. სპეციალისტები კი მთავრობის გეგმას კრახით დასრულებას უწინასწარმეტყველებენ.

დაგროვების მართვის კომპანია „პირადი ბანკირის“ აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი ბერძენაძე** რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას ამბობს, რომ ასეთი გეგმის წარმოდგენამდე საჭირო იყო მეტი გააზრება და ფიქრი-შედეგების ანალიზი. ბერძენაძის თქმით, დედოლარიზაციის მიზნით სესხებზე აკრძალვის დაწესება ეს არის კრახით დასრულებული პროცესი და შედეგად მივიღებთ პროცენტების ზრდას .

**„გამოდის სახელმწოფომ ბანკს უნდა დაუდგინოს რამდენ პროცენტში გასცეს სესხი, რაც დაუშვებელია. მთავრობას არა აქვს გაანალიზებული, რა შედეგები მოჰყვება ამას. დედოლარიზაციის გეგმა კი არის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობა“,** — აცხადებს ბერძენაძე.

მისივე მოსაზრებით, გამოსავალი არ არის არც ონლაინ-სესხების გაცემის აკრძალვა, რეგულაცია საჭირო იყო, თუმცა საინტერესოა, ვინ დააკმაყოფილებს იმ მოსახლეობას, რომელიც ამ




სესხებით სარგებლობდა ? ბერძენაძე ამბობს, რომ ეს პროცესი სოციალურად უარყოფითი ეფექტის მომტანი იქნება.

„ახალი ეკონომიკური სკოლის“ დამფუძნებელი **პაატა შეშელიძე** შეფასებით, ამოცანა დედოლარიზაცია უდიდესი შეცდომაა, მისი გადაწყვეტის გზაც ასევე შეცდომაა და შედეგები იქნება უარესი.

**„ლარი როგორც დამოუკიდებელი ფულადი ერთეული არავის სჭირდება და თუ გინდათ ლარიზაცია, ის უნდა მიებას დოლარს და ფასი დაედოს, არავის აქვს უფლება, ადამიანებს შეუზღუდოს უფლება, გამოიყენონ ის ვალუტა, რომელიც მას სჭირდება“,** — აცხადებს შეშელიძე.

შეშელიძე მიიჩმნევს, რომ , შემოთავაზებული პაკეტი არანაირად არ ეხება და არ წვდება პრობლემების არსს, არ ეხება მონეტარულ პოლიტიკას, რომლის მთავარი დამსახურებაა დღევანდელი სიტუაცია. შეშელიძის შეფასებით სესხების გაცემის აკრძალვა და ბანკების დავალდებულება, ეს არის აბსურდი **„მსგავსი რამ მხოლოდ დიქტატორულ სახელმწიფოებში შეიძლება მოხდეს და როგორც ჩანს, საქართველო ამ გზისკენ მიდის“** — აცხადებს შეშელიძე.

**სალომე სოსელია**

# ყაზახეთი დამოუკიდებლობის 25 წლისთავს აღნიშნავს

## საუკუნეთა ტოლი წლები




**„საუკუნეთა ტოლი წლები, ასწლეულების ტოლი ეპოქა!“ — ასე დაახასიათა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ერის ლიდერმა ნურსულთან ნაზარბაევმა 1991 წლიდან, სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან ქვეყნის მიერ განვლილი გზა.**

**საკონსტიტუციო კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ“ 1991 წლის 16 დეკემბერს იქნა მიღებული. ყაზახეთმა პირველად მიიღო მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. ეს ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა — ჩვენი ხალხის მრავალი თაობის აღსრულებული ნატვრისა და იმედების შედეგია“,** — ნათქვამია ყაზახეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის 25 წლისთავის ზეიმის კონცეფციაში „ერთობისა და აღმშენებლობის 25 წელი“.

**„1991 წლის 16 დეკემბერს ყაზახეთმა სრულიად ახალი ისტორია დაიწყო,**— ხაზგასმით აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა. **— ჩვენ ყაზახური აღორძინების დამფუძნებლები და გზის პირველგამკვლევები გავხდით. ესაა ჩვენი კეთილშობილური დროისა და დიადი მიღწევების ყველაზე ზუსტი სახელწოდება. ჩვენ ყაზახეთის დამოუკიდებლობასთან ერთად ვიზრდებით... არასრული მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩვენ ისტორიული გზა განვვლეთ, რომელსაც ზოგი სახელმწიფო საუკუნეებს ანდომებს, ზოგიც კი, სულაც, ვერც ვერაფერს აღწევს. ეს ყველა ყაზახის შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომელსაც წინაპართა შემართვა შთააგონებდა და რომელიც მომავალ თაობებს გზას უკვალავდა“.**

დამოუკიდებელი განვითარების 25 წელიწადში ყაზახეთი მსოფლიოს 50 ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვში შევიდა, ვადამდე ადრე განახორციელა სტრატეგია-2030, დაიწყო სტრატეგია— 2050-ისა და ერის გეგმის „100 კონკრეტული ნაბიჯი: თანამედროვე სახელმწიფო ყველასათვის“ განხორციელება. დღესდღეობით ყაზახეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის თანამედროვე გარდაქმნების ლიდერია. ასტანის სამიტი, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის, ისლამური თანამშრომლობის, შანაჰის, აზიაში ურთიერთობებისა და ნდობის ზომების თანამშრომლობის, ასევე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ორგანიზაციებში თავმჯდომარეობა — ეს ნიშან-სვეტური მოვლენებია, რომლებიც მხოლოდ ყაზახეთის მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით გახდა შესაძლებელი.

სწრაფი ტემპით ვითარდება ორი ქვეყნისა და ერის დაახლოებაზე მიმართულ ყაზახურ-ქართული ურთიერთობები. პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ეკონომიკაში ყაზახური კაპიტალის ყველაზე დიდი მოცულობაა ინვესტირებული. თავის მხრივ, ყაზახეთი დიდად აფასებს საქართველოს მეშვეობით ზღვაზე გასვლის შესაძლებლობას.



ყაზახეთის მთავრობამ დაამტკიცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 25 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის საერთო ეროვნულ ღონისძიებათა გეგმა. **„დამოუკიდებლობას ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ესაა განსაკუთრებული, არაორდინარული დღესასწაული, იგი ხაზს უსვამს პირველი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის უზარმაზარ წვლილს ახალი ყაზახეთის მშენებლობაში, რომლის გეზის უტყუარობისა ხალხმა იწამა. ყოველი საიუბილეო მიჯნა — ესაა განვლილი გზის გააზრებისა და, რაღა თქმა უნდა, სამომავლო გეგმების დასახვის საბაბი“,** — აღნიშნავს ყაზახეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **იმანგალი ტასმაგამბეტოვი.**

ყაზახეთ-გერმანიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი **მარკუს კაიზერი: „თავისი განვითარებით ყაზახეთმა სხვა ქვეყნებს გაუსწრო. ამაშია დიდი ნურსულთან ნაზარბაევის წვლილი, ეროვნებათაშორისი ჰარმონიის გლობალურ გამოცდილებაში ყაზახეთის პრეზიდენტის ლიდერობა. პოლიტოლოგთა აზრით, ყაზახეთის წარმატების ფენომენის ახსნა არა ქვეყნის ტერიტორიაზე უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების არსებობაა, არამედ მათი გონივრული განაწილება. პრეზიდენტის პოლიტიკამ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შინაგანი სტაბილურობისა და საზოგადოებრივი ერთობის შესაძლებლობა შექმნა“.**

სახელმწიფოს თავკაცმა ქვეყნის მთავარი მიღწევა დაასახელა: **„დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ იმას მიაღწია, რომ ყაზახთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 64-დან 72 წლამდე გაიზარდა. მე ამას რესპუბლიკის მთავარ მიღწევას დავარქმევდი. 25 წელიწადში ჩვენ ავაგეთ სკოლები, საავადმყოფოები, გზები, დავძლიეთ სამი კრიზისი. წინ კიდევ მრავალი სირთულეა გადასალახავი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ხალხთან ერთად ჩვენ ყველაფერს შევძლებთ“.**

ყაზახეთის სუვერენული განვითარების წლებში შექმნილია მთავარი სულიერი ფასეულობები, რომელიც ყველა ყაზახს აერთიანებს და მომავლის საძირკველს წარმოადგენს — ესენია სამოქალაქო თანასწორობა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, სწავლისა და განათლების კულტი, საერო ტოლერანტობის ქვეყანა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყაზახეთის მიწაზე საგრძნობი ცვლილებები მოხდა. ამის მაგალითია ახალი აგებული დედაქალაქი ასტანა, რომელიც ყაზახეთის, როგორც მსოფლიო არენაზე დამოუკიდებელი მოთამაშის სიმბოლო გახდა.

სხვა ასპექტია საერთაშორისო იმიჯი, სადაც ყაზახეთმა ასევე გარკვეულ შედეგებს მიაღწია. ამჟამად ასტანა არა მარტო პრესტიჟული ფორუმებისა და სამიტების ჩასატარებელი მოედანია, მაგალითად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებისთვის, არამედ მშვიდობისმყოფელი ქალაქიცაა, სადაც სირიისა და ირანის თაობაზე მოლაპარაკებათა რაუნდები ტარდებოდა. საუცხოო იმიჯის დადასტურების გვირგვინად კი ცოტა ხნის წინათ ყაზახეთის გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად არჩევა იქცა.



არსებითად განვითარდა ეკონომიკის ტრადიციული დარგები (მათ შორის, სოფლის მეურნეობა, ნავთობის მოპოვება, მშენებლობა და ა.შ.), რომლებსაც გადამამუშავებელი დარგი და მანქანათმშენებლობა დაემატა. სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად ყოველი მესამე ყაზახი სამამულო წარმოების ავტომანქანას ყიდულობს, რაშიც დიდად უწყობს ხელს შეღავათიანი სესხების სისტემა. საკუთარი ნოუ-ჰაუები გაჩნდა ისეთ სფეროებშიც, როგორებიცაა IT – ტექნოლოგიები და კავშირგაბმულობა.

ცალკე უნდა ითქვას რეალურ გარღვევაზე კოსმოსურ ტექნოლოგიებში. კოსმოდრომ „ბაიკონურის“ დაარსებიდან პირველად ყაზახი სპეციალისტები სასტარტო მოედნებზე მუშაობას შეუდგნენ. ამ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც განათლება სპეციალიზებულ უმაღლეს სასწავლებელში მიიღეს, ამიერიდან მთელს მსოფლიოში ცნობილი კოსმოდრომის შუაგულში იმუშავებენ. კიდევ ერთი ამბიციური პროექტია ურანის მრეწველობის განვითარება. ყაზახეთის პროგრამა არა მარტო ბირთვული ციკლის სრული ჯაჭვის აგებას, არამედ ამ ძვირფასი ლითონის მოპოვებასა და გაყიდვასაც ითვალისწინებს.

ყაზახეთში შეიქმნება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატეს) ნაკლებად გამდიდრებული ურანის ბანკი (ნგუბ). მიჩნეულია, რომ ამ ბანკის შექმნა **„ისტორიული მომენტია, ვინაიდან წარმოადგენს უსაფრთხოების უნიკალურ მექანიზმს“**. ბანკი უზრუნველყოფს მაგატეს წევრი ქვეყნებისთვის ნაკლებად გამდიდრებულ ურანზე წვდომას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მის მიღებას მსოფლიო ბაზარზე ვერ შეძლებენ. ბანკი ატომური ენერგიის მშვიდობიანი განვითარებისთვის იმოქმედებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საყოველთაო ბირთვული უსაფრთხოების გაძლიერებაში, შეამცირებს ბირთვული საწვავის ციკლის მგრძნობიარე ტექნოლოგიების განვითარების რისკებს. ყაზახეთი თანმიმდევრულად გამოდის ბირთვული იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, აყენებს ინიციატივებს განიარაღებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფეროებში.

დღესასწაულის აღსანიშნავად დაგეგმილია ასობით სხვადასხვა ღონისძიება არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ ყველაზე შორეულ აულებშიც კი. ჩატარდება გრანდიოზული აღლუმები, კონცერტები, ფლეშმობები, გამოფენები და სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც 21 ნოემბრიდან ვიდრე 15 დეკემბრამდე, 25 დღის განმავლობაში გაიმართება და დამოუკიდებლობის მიღწევის 25 წელს აღნიშნავენ. თავად დღესასწაულის დღისთვის, რომელიც 16 დეკემბერს აღინიშნება, ხელისუფლება მოსახლეობას ბევრ სოფლის რაიონში სასმელი წყლის გაყვანასა და გზების შეკეთებას ჰპირდება. ამჟამად ქვეყანაში ტარდება ღია კონკურსი ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ბრენდის ჩამოყალიბებაზე. ორგანიზატორთა თქმით, ქვეყნის ბრენდი — ეს სულაც არ არის უბრალო ლოგოტიპი, ესაა მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ხელსაყრელ პოზიციონერობაზე გათვლილი სახელმწიფოს გააზრებული მასშტაბური საიმიჯო სტრატეგია. ინტერნეტ-კენჭისყრის შედეგად შერჩეული ყველა ლოგოტიპი და სლოგანი საექსპერტო საბჭოს გადაეცემა, რომლის შემადგენლობაში შედიან არა მარტო ყაზახეთის საზოგადო მოღაწეები, არამედ საერთაშორისო ექსპერტებიც. ლოგოტიპში უნდა აისახოს ყაზახეთის ყველა თავისებურება, მისი მიღწევები და წარმატებები.

**— ერის ლიდერის ნურსულთან ნაზარბაევის ხელმძღვანელობით, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ყაზახეთმა მიღწევებისა და წარმატებების არაჩვეულებრივად რთული გზა განვლო. ყაზახეთმა მიაგნო ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე ხალხის გაერთიანების ერთადერთ სწორ გზას — ესაა მშვიდობა, სტაბილობა და თანხმობა,** — ამბობს ყაზახეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე **ბაგლან მაილიბაევი.**

**კოტე სირბილაძე**

# აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჰააგის სასამართლომ მუშაობა უნდა გააგრძელოს


epa

**ადგილობრივი** და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოუწოდებენ, გააგრძელოს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული გამოძიება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საბოლოოდ გაემიჯნა ჰააგის სასამართლოს წესდებას (რომის სტატუტს). ადამიანის უფლებათა ცენტრი და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი არცთუ მცირე პრობლემად მიიჩნევენ რუსეთის გადაწყვეტილებას აღარ ითანამშრომლოს ჰააგის სასამართლოსთან და ერთობლივ განცხადებაში არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო მხარდაჭერის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ.

**„სავარაუდო ომის დანაშაულებს ადგილი ჰქონდა საქართველოში, რომელსაც რატიფიცირებული აქვს რომის სტატუტი და აღიარებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აქვს სრული სამართლებრივი საფუძველი გამოძიების საწარმოებლად... და ჰააგის სასამართლომ უნდა გააგრძელოს გამოძიება და გამოძებნოს გზები შესაბამისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, გამოსაკვლევად და მოწმეებთან სამუშაოდ“, — ნათქვამია „ადამიანის უფლებათა ცენტრისა“ და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ერთობლივ განცხადებაში და აქვეა მოწოდება, რომ, რუსეთის არაკონსტრუქციული გადაწყვეტილების კვალდაკვალ, ომის სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი საქართველოს ხელისუფლებამ, სამოქალაქო საზოგადოებამ და რომის სტატუტის წევრმა ქვეყნებმა.**

საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რუსეთზე წნეხის დემონსტრირებას მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს **თამარ ავალიანი,** ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი, რომელიც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად ახლახან იმყოფებოდა ჰააგაში, რომის სტატუტის წევრი ქვეყნების ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე. ეს ღონისძიება დროში ზუსტად დაემთხვა რუსეთის ქმედებას. როგორც თამარ ავალიანი ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, მაინც რჩება გამოძიების გაგრძელებისა და დაგვირგვინების იმედი:

**„ჩვენ გვჯერა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსი, რომ ის ალტერნატიულ მექანიზმებს გამოიყენებს იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, გაგრძელდეს გამოძიება და, მეორე მხრივ, შესაბამისად აღსრულდეს მიღებული გადაწყვეტილება. ჰააგაში ყოფნისას, ჩვენ დავუსვით საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურას ეს შეკითხვა და მან გვითხრა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს ამისთვის... ჯერ ჩვენ არ ვართ ინფორმირებული და არც ვიქნებით ინფორმირებული, თუ რა მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს სასამართლო... მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ერთადერთი მექანიზმია იმისთვის, რომ გამოიძიოს ომის დანაშაულები“.**

სასამართლოს მუშაობის ასეთი მეთოდები ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს. სასამართლო სულ უფრო ხშირად ემხრობა მოძალადეებს. ჩვენ ამის მომსწრენი გავხდით მაშინაც, როცა მიღებულ იქნა გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით...

**მარია ზახაროვა**

**მართალია, რუსეთს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი) არ ჰქონდა რატიფიცირებული და მხოლოდ ხელმოწერა მას ისედაც არაფერს ავალდებულებდა, მაგრამ გამოძიებასთან მოსკოვის თანამშრომლობის შანსი მკვეთრად შემცირდა მას შემდეგ, რაც 16 ნოემბერს პრეზიდენტმა პუტინმა დაადასტურა რუსეთის სურვილი, უკან გამოეწვია სტატუტზე დასმული ხელმოწერაც.**

რუსეთის ეს ნაბიჯი ჰააგის ტრიბუნალის მხრიდან უკრაინით დაინტერესებას მოჰყვა, თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოვის მოთმინების ფიალის ავსებაში დიდი როლი შეასრულა. საქართველოს საკითხმაც. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ აღნიშნა რამდენიმე დღის წინათ, სისხლის სამართლის სასამართლო ფაქტებს აყალბებს, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომზე ლაპარაკობს და ყირიმს რუსეთის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევს. ჰააგის ტრიბუნალის მუშაობის უსამართლო მეთოდებზე ლაპარაკისას მარია ზახაროვა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომსაც ახსენებს:

**„სასამართლოს მუშაობის ასეთი მეთოდები ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს. სასამართლო სულ უფრო ხშირად ემხრობა მოძალადეებს. ჩვენ ამის მომსწრენი გავხდით მაშინაც, როცა მიღებულ იქნა გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით... ამ სიტუაციაში აშკარაა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობა ხელს ვერ შეუწყობს უკრაინაში არსებული სიტუაციის დარეგულირებას, რაც მას არც მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში გაუკეთებია. როგორც ჩანს, ამ ორგანოს აქტიურობა ემსახურება იმ საზოგადოების, ქვეყნისა და ხალხის წინაშე არსებული ისედაც რთული პრობლემების კიდევ უფრო გამწვავებას, რომლებიც კრიზისის დაძლევას ცდილობდნენ“.**

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საბოლოოდ უარი თქვა ჰააგის სასამართლოზე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწიათ არაერთი განმარტების გაკეთება იმაზე, რომ რუსეთის ეს სვლა ბევრს ვერაფერს ცვლის. სწორედ ამაზე ლაპარაკობს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში **ქეთი ციხელაშვილიც:**

**„რუსეთს არ ჰქონდა რატიფიცირებული რომის სტატუტი, მიერთებული არ გახლდათ და როგორც ადრე, ასევე მომავალში ეს ხელს ვერ შეუშლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესს... წინასასამართლო პროცესზე უკვე აღინიშნა, რომ ეს გამოძიება მათ შორის მოიცავს, დადგენის შემთხვევაში, რუსეთის პასუხისმგებლობას“.**

მართალია, უკვე ძალიან მცირეა შესაძლებლობა იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ითანამშრომლებს ჰააგის სასამართლოსთან, რაც სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნის 2008 წლის აგვისტოს ომში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას, მაგრამ მესამე სექტორში მაინც სჯერათ, რომ, ადგილობრივი და საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად, პროცესი ადეკვატურად წარიმართება და აუცილებლად დაისჯებიან ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირები.

**ლელა კუნჭულია**

**◉ განსჯა**

# საყოველთაო უსაფრთხოების პრინციპით

**დანაშაულის პრევენციის, მომხდარ დანაშაულზე ოპერატიული რეაგირებისას დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავების, დანაშაულის ჩადენის უტყუარ მტკიცებულებათა მოპოვების უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენისა და აღკვეთის, აგრეთვე სატრანსპორტო ნაკადების სამართავად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უაღრესად მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტი დაიწყო სახელწოდებით „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“.**

პროექტის ფარგლებში, შს სამინისტროში ახალი სტრუქტურული ერთეული — ერთობლივი ოპერაციების ცენტრი შეიქმნა, რომელიც, ანალიტიკური პროგრამების მეშვეობით, რეალურ დროში, „გონიერი სისტემებით“ ოპერირებასა და ვიდეოთვალთვალს განახორციელებს. ელექტრონული რუკის მეშვეობით კი ცენტრი საპოლიციო ძალებს როგორც ოპერატიულ ინფორმაციას მიაწვდის, ასევე მათ მონიტორინგსაც მოახდენს. **საბოლოო ანგარიშით, პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ მიზანია ქვეყნის ყველა ქალაქისა და რეგიონის „ჭკვიანი“ ვიდეო და სამეთვალყურეო სისტემებით აღჭურვა, ერთიანი ცენტრალიზებული ქსელისა და ელექტრონული რუკის შექმნა, ვიდეოანალიტიკური პროგრამების დანერგვა და, ზოგადად, პოლიციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აჭურვაზე ზრუნვა.**



აღსანიშნავია, რომ პროექტი „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ თავად შს სამინისტროს მიერაა ინიცირებული და სპეციალისტები მას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი წარმატებით განხორციელება დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ზრდაზეც, რადგან სახელმწიფოს მიმზიდველობა, უდავოდ, ამ მიმართულებითაც მოიმატებს.

— თანამედროვე მსოფლიოში, სახელმწიფოში უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, არც ერთი ქვეყანა არ იყენებს ისეთ ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს, რომლებიც მხოლოდ ცოცხალი ძალით ოპერირების საშუალებას იძლევა, — ამბობს შს სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის დირექტორი **გიორგი არსოშვილი**. — საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე ოპერატორი უბრალოდ ფიზიკურად ვერ მოახდენს ათასობით სათვალთვალო კამერიდან შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას, რაც, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს დანაშაულის აღკვეთასა და სამართალდარღვევათა პრევენციაზე. შესაბამისად, მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული „ჭკვიანი“ ვიდეო-ანალიტიკური სისტემები ავტომატურ რეჟიმში ახდენენ მულტიმედია-ფაილის დამუშავებასა და, სამართალდარღვევის კონკრეტული ფაქტის გამოვლენისას, ოპერატორს ან შესაბამის სამსახურს, განგაშისნიშნიან ინფორმაციას აწვდიან. თავის მხრივ კი, დროულად მიღებული ინფორმაცია ოპერატიული რეაგირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება პროექტის განხორციელების ტექნიკურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში განთავსებულ სისტემებს ვიდეო-ანალიტიკური მხარდაჭერა ექნებათ, და სპეციალური პროგრამებით უზრუნველყოფილნი იქნებიან რაც, კონკრეტულად, **ერთობლივი ოპერაციების ცენტრის თანამშრომლებს საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევის, ასევე საეჭვო ქცევის ავტომატურად ამოცნობის შესაძლებლობას მისცემს.** პირველ შემთხვევაში ეს ეხება სიჩქარის გადაჭარბებას, ღერძულა ხაზის გადაკვეთას, საპირისპირო მიმართულებით მოძრაობას, ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის მიტოვებასა და ა.შ. მეორე შემთხვევაში კი სამართალდამცველთა ყურადღებას მიიპყრობს ჩხუბის, ვანდალიზმის, დაცულ ტერიტორიაზე შეღწევის, ქურდობისა და სხვა ფაქტები. გარდა ამისა, ოპერატიულად ამოიცნობა ავტომანქანის სანომრე ნიშნები და, საჭიროების შემთხვევაში, დაიწყება მისი ძებნა; ასევე ამოიცნობა და ძებნა დაიწყება ეჭვმიტანილი პირისა; მიტოვებული საეჭვო ობიექტის, იარაღის გასროლის ამოცნობა და ა.შ.

პროგრამის ფრთაშესხმის პროცესში **შს სამინისტრომ უკვე შეიძინა სათანადო ვიდეო-ანალიტიკური პროგრამების ნაწილი, დასრულდა ქვეყნის მასშტაბით დადგმული სათვალთვალო კამერების აღრიცხვა, მათი ტექნიკური თავსებადობის შესაბამისობა ანალიტიკურ პროგრამებთან. გარდა ამისა, უკვე განისაზღვრა ის ზონები, სადაც საჭიროა დამატებითი კამერების განთავსება, ასევე შემუშავებულია მათი განლაგების ერთიანი სტანდარტები.**

იხ. 7 გვ.

## 125

***ნათლის მხედარმა იცის, რომ ყველა ენაზე ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი სიტყვები მოკლეა.***

ჰო.

უფალი.

სიყვარული.

ეს სიტყვები ადვილად წარმოითქმის და ავსებს უზარმაზარ ცარიელ სივრცეებს.



თუმცა არის კიდევ ერთი სიტყვა – ისიც მოკლეა – რომლის წარმოთქმაც ბევრ ადამიანს უჭირს.

ეს სიტყვა არის „არა“.

ვინც არცროდის „არას“ არ ამბობს, თავის თავს დიდსულოვნად, გაგებულად, აღზრდილად მიიჩნევს, რამეთუ ეს სიტყვა თავკერძა, უსულგულო, ბოღმიანი სახელ-დიდებით სარგებლობს.

მაგრამ ნათლის მხედარი ამ ხაფანგში თავს არა ყოფს.

არის იმის ცხოვრებაში ისეთი წუთები, როცა ის სხვას „ჰოს“ ეუბნება, ხოლო თავის თავს ამავე დროს „არას“ უპასუხებს.

და ამიტომ იმისი ბაგენი არცროდის „ჰოს“ არ წარმოთქვამენ, უკეთუ გული „არას“ ამბობს.

## 126

***ჯერ ერთი: ღმერთი ეს თავგანწირვაა.***

ამ ცხოვრებაში კი ვიტანჯებით, მაგრამ ნეტარებას ვიხვეჭთ მომდევნოში.

მეორეც, ვინც მხიარულობს და შეექცევა – ბავშვია. მერე დაძაბულ ცხოვრებას ვერ ავცდებით.

მესამეც, სხვებმა უკეთ იციან, ჩვენ რა გვინდა, იმიტომ რომ იმათ მეტი გამოცდილება აქვთ.

მეოთხეც, სხვათა გაბედნიერება ჩვენი მოვალეობაა. უნდა შევძლოთ და გავახაროთ ისინი, თუნდაც ამის გამო რაღაც ძალიან ძვირფას რამეზე მოგვიხდეს უარის თქმა.

მეხუთეც, ნეტარების ფიალის მოყუდება არ ეგების, რამეთუ მივეჩვევით, ფიალა კი ყოველთვის ხელთ არ გვექნება.

მეექვსეც, არცრა სასჯელს თავი არ უნდა ავარიდოთ, რამეთუ ყველანი დამნაშავენი ვართ.

მეშვიდეც, თუ შიშს რასმე განვიცდით – ეს განგაშის ნიშანია. რისკს ნუ გავწევთ.

ასეთია ეს შვიდი მცნება, რომელთაც არც ერთი ნათლის მხედარი არ დაემორჩილება.

## 127

***მრავალთმრავალი ხალხი ირევა სამოთხისკენ მიმავალ გზაზე.***

„რა უფლებით არიან აქ ცოდვილნი?“ – კითხულობს პურიტანინი.

„მეძავს ზეიმში მონაწილეობა უნდა!“ – ყვირის მორალისტი.

„როგორ შეიძლება მოღალატე ცოლის შენდობა, ეგ ცოდვილია? – კითხულობს საზოგადოებრივ ფასეულობათა თავგამოდებული დამცველი.

„როგორ შეიძლება იმ ბრმის განკურნება, რომელიც მარტო თავის თვალისჩინზე ფიქრობს და მადლობასაც არ ამბობს მხედველობის დაბრუნებისა გამო?“ – ტანსაცმელს იხევს ტანზე მონანიე ცოდვილი.

„შენ წინააღმდეგობაც კი არ გაუწიე იმ ქალს, ძვირფას ნელსაცხებელს რომ გისვამდა თმაზე! განა არ შეიძლებოდა იმ ზეთის გაყიდვა და ამოღებული ფულით პურის ყიდვა?“ – ფეხებს აბაკუნებს ასკეტი.

იესოს ეღიმება და ღია კარში დგას.

და ნათლის მხედარნი თავისუფლად შედიან იესოს მიერ განხმულ კარში, თუმცა კარამდე მისვლამდე ისტერიკული წივილ-კივილის გავლა უხდებათ.

## 128

***მოწინააღმდეგე დაჯილდოებულია სიბრძნით***

პირველი შესაძლებლობისთანავე იყენებს იგი თავის ყველაზე საიმედო და მოქმედ იარაღს – მზაკვრობას.

ამის მერე არცრა ძალისხმევა არა სჭირდება – იმის მაგივრად სხვები იმოქმედებენ.

გაუფრთხილებლად თუ წინდაუხედავად წამოსროლილი სიტყვები გაანადგურებენ ერთგულების თვეებს, შეხმატკბილებით ძიებაში განვლილ წლებს.

ხშირად ხდება, რომ ნათლის მხედარი ამ ხაფანგში ამოყოფს ხოლმე თავს. მან არ იცის, რომელი მხრიდან დაარტყამენ, არც ის იცის, როგორ უარყოს სიცრუე, მზაკვრობა არ იძლევა დაცვის უფლებას, ინტრიგას უსამართლოდ გამოაქვს განაჩენი.

და ნათლის მხედარს სხვა გზა აღარ დარჩენია, რა ქნას, ურიგდება მზაკვრობის შედეგებს, ეგუება დაუმსახურებელ სასჯელს – რამეთუ სიტყვა ძალუმი რამ არის, და მან ეს იცის. მაგრამ ის მდუმარედ იტანჯება და მტერს იმისივე იარაღით არასოდეს გამკლავებას არ დაუწყებს.

ნათლის მხედარი ლაჩარი არ არის.

დასასრული. დასაწყისი იხ. №212-223




**პორტუგალიური ტექსტი დედნის
ბწკარედის მიხედვით
გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

## 129

***„სულელს ათასი გონებაც რომ მიჰკერძო, იმას მაინცდამაინც მარტო შენი უნდაო“ – ამბობს არაბული ანდაზა.***

თავის ბაღის გაშენება რომ დაიწყო, ნათლის მხედარმა შეამჩნია, რომ მეზობელი თვალყურს ადევნებდა იმის მუშაობას და ერთი სული ჰქონდა, სანამ რასმე ურჩევდა, ანუ, მე გეტყვი, საქმე როგორ უნდა დარგო, აზრს ძირი როგორ უნდა შემოუთოხნო, მონაპოვარი როგორ უნდა მორწყოო.



ნათლის მხედარს ყური რომ დაეგდო იმის რჩევისთვის, ბოლოს და ბოლოს სხვისი ჭკუით უნდა ეკეთებინა თავისი საქმე, და ბაღი, რომელსაც გააშენებდა, მეზობლის იდეის განხორციელება იქნებოდა.

მაგრამ ჭეშმარიტმა ნათლის მხედარს იცის, რომ სუყოველ ბაღს თავისი საიდუმლოება აქვს, და მხოლოდ მებაღის დაკოჟრილ ხელებს ძალუძთ ამ საიდუმლოების მიკვლევა. ამიტომ მან ამჯობინა, რომ თავისი გულისთქმა და ყურადღება მიეპყრო მზისთვის, წვიმისთვის, წელიწადის დროთათვის.

რამეთუ ნათლის მხედარმა უწყის – სულელი, რომელსაც ნამეტნავად იზიდავს სხვისი ბაღი, თავის საკუთარზე არ იზრუნებს.

## 130

***ბრძოლაში თვალებგახელილი უნდა ჩაება. და საჭიროა, რომ შენ გვერდით ერთგული ხალხი გყავდეს.***

ხანისად ესეც ხდება, რომ ნათლის მხედარს გვერდიგვერდ მებრძოლი ამხანაგი მოწინააღმდეგე უხდება. სხვა ყველა გრძნობაზე უწინ ეს სიძულვილს იწვევს; მაგრამ ნათლის მხედარმა იცის, რომ კაცობადაკარგული მებრძოლი ბრძოლაში დასაღუპავად განწირულია.

მაშინ იგი ცდილობს ყოველივე იმ კარგის და კეთილის გახსენებას, რაც ამჟამინდელ მოწინააღმდეგეს იმ დროს ექნა, როცა ჯერ კიდევ თანამოსაგრე იყო. ცდილობს იმის მიხვედრას, რამ შეცვალა იგი ასე საოცრად, რა ერთმანეთის გამაძლიერებელმა სულიერმა იარებმა დააკნინეს და გადააგვარეს ერთ დროს გამორჩეული ვაჟკაცი. ცდილობს აგრეთვე, რომ შეიცნოს, რამ აიძულა თითოეული იმათგანი, აგრე მოულოდნელად რომ შეეწყვიტათ დიალოგი.

როგორც მთლად სრულყოფილი ადამიანები არ არიან, ასევე არ არიან მთლად უიმედოდ ცუდებიც, აი რაზე ფიქრობს ახალმოწინააღმდეგეაჩენილი ნათლის მხედარი.

## 131

***ნათლის მხედარმა იცის, რომ არის „კასკადის ეფექტი“.***

იგი არაერთხელ შესწრებია ასეთ სურათს: მავანი ისე კაცურად არ ექცევა იმას, ვისაც მოგერიების თავი არა აქვს. ეს ბედგამლაშებული, გაუმკლავებელი კი, თავისი სულმოკლეობისა გამო დარცხვენილი, მთელ თავის მრისხანებას თავს დაატეხს კიდევ უფრო სუსტსა და ძაბუნ ვისმეს, რომელიც უსიტყვოდ, ენის შეუბრუნებლად იგერიებს წინა, მავან კაცზე გაბრაზებულს – და აგრე ერთიდან მეორეზე გადადის შარი და უბედურება. არცვინ წინასწარ არ იცის, რა შედეგი მოჰყვება საკუთარ სისასტიკეს.

ამიტომაც არის ნათლის მხედარი წინდახედული, სანამ მახვილს მოიქნევდეს, და მოწინააღმდეგედ მხოლოდ თავის ღირსეულს მიიჩნევს. უკეთუ სიბრაზისგან გულს ასკდება, გამძვინვარებული მუშტს ურტყამს პიტალო კლდეს და ხელს იშავებს.

მხედარს ხელი მალე მოურჩება, ეს მაშინ, როცა ბავშვს, რომელსაც იმის გამო მოხვდა, რაკი მამამისი დამარცხდა, გაწნული სილისგან გაჩენილი ნათითურები სიცოცხლის ბოლომდე შერჩება.

## 132

***სხვა ადგილას გადასვლის ბრძანება მოვიდა – ნათლის მხედარს თვალწინ დაუდგა ყველა, ვისაც დაუმეგობრდა თავის გზაზე სვლის დროს.***

ზოგ-ზოგთ ასწავლა, როგორ რეკავენ წყალქვეშა ტაძრის ზარები, ზოგთაც ათას რასმე ამბავს უყვებოდა კოცონთან მიმჯდარი.

გული ნაღველს ვეღარ იტევს, მაგრამ მან იცის, რომ მახვილი ნაკურთხი აქვს და მთელი ცხოვრება უნდა დაემორჩილოს **იმის** სიტყვას, ვისაც თავისი ბრძოლა შესძღვნა.

ნათლის მხედარი მადლობას უხდის თავის თანამეგზავეთ, ერთი ღრმად ამოისუნთქავს და გზას განაგრძობს წინ, თან საგზალივით მიაქვს დაუვიწყარი მოგონებანი გზის განვლილ მონაკვეთზე.

## ეპილოგი



***დედაქალი რომ დადუმდა, უკვე დაღამებული იყო.***

ის ქალი და ბიჭი დიდხანს უცქერდნენ ახალ მთვარეს.

– რაც კი რამ მიამბე, წინააღმდეგობებით არის სავსე, – თქვა ბიჭმა.

ქალი წამოდგა.

– მშვიდობით, – თქვა მან. – შენ გაიგე, რომ ზარის რეკვის ხმა, რომელიც ზღვის ფსკერიდან ისმის, მოგონილი არ არის, ოღონდ მხოლოდ იმის მერე გაიგონე, როცა მიხვდი: ის რეკვის ხმა ერთიანად შერწყმულია ქარის ხმაურთან, თოლიების ყივილთან, პალმების ფოთლების შრიალთან.

და ზუსტად აგრევე იცის ნათლის მხედარმა: ყოველივე რაც მან ნახა და განიცადა – თავისი გამარჯვებები, თავისი დამარცხებები, თავისი თითოეული აღმაფრენა თუ სასოწარკვეთილება ერთიანად შერწყმულია **სამართლიან ბრძოლასთან** და ამის მერე უკვე ეცოდინება საჭირო დროს საჭირო სტრატეგიის გამოყენება. ნათლის მხედარს აღარ ეჭირვება, რომ იყოს თანამიმდევრული და ლოგიკური, რამეთუ მან ცხოვრება მთელი თავისი წინააღმდეგობებით ისწავლა.

– ვინა ხართ, რატომ არ მეუბნებით? – ჰკითხა ბიჭმა.

მაგრამ დედაქალი უკვე დამანძილებოდა და წყალწყალ მიდიოდა იქით, სადაც ახალი მთვარე ანათებდა.

# ნუ გეშინიათ, საქართველოსადმი დასავლეთის ყურადღება არ შესუსტდება!

**ნატოს გენმდივნის სპეცწარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ დაგმო რუსეთის მიერ აფხაზეთთან ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის შესახებ შეთანხმების ამაწინანდელი რატიფიცირება. ეს ძირშივე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალსა და რუსეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, – დაწერა აპატურაიმ რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პირად გვერდზე. თბილისში მის პუბლიკაციას მყისვე გამოეხმაურნენ. საქართველოს ხელისუფლება ამ თემისადმი მეტი საერთაშორისო ყურადღების მიპყრობას ცდილობს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კი შიშობენ, რომ ნატოსა და აშშ-ის მხრიდან უწინდელი სოლიდარობა თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან შესაძლოა, ქართული პრობლემებისადმი უფრო პასიური მიდგომით შეიცვალოს.**

საგარეო საქმეთა მინისტრმა **მიხეილ ჯანელიძემ,** მიუხედავად იმისა, რომ მის უწყებას განცხადება უკვე გაკეთებული ჰქონდა, საჭიროდ ჩათვალა, პირადადაც დაეფიქსირებინა პოზიცია და კიდევ ერთხელ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, მიიღოს ქმედითი ზომები რეგიონში უსაფრთხოების კუთხით ვითარების შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად:

**„საერთაშორისო თანამეგობრობა მსგავს ქმედებებს გმობს. ე.წ. შეთანხმება არ არის ლეგიტიმური, საერთაშორისო თანამეგობრობა მას არ აღიარებს, შესაბამისად, ჩვენ გავაგრძელებთ ნაბიჯების გადადგმას, რომელიც მსგავსი ფაქტების დაგმობასა და საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ კონსოლიდაციაზე იქნება მიმართული“.**

განზე არ დარჩენილა არც ევროინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრი **ვიქტორ დოლიძე.** მანაც აქცენტი საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობაზე გააკეთა:

**„იმ დროს, როდესაც რუსეთი მსგავს აგრესიულ ნაბიჯებს დგამს, ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების დიდი იმედი გვაქვს. მხედველობაში მაქვს ჟენევის ფორმატი, ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო და სხვა პლატფორმები. საკითხები უნდა დაისვას როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ შეხვედრებზეც და ამასთანავე, უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი“.**

დამკვირვებლების აზრით, მსგავსი აჟიოტაჟი და საერთაშორისო ორგანიზაციებზე აპელირება თბილისის შეშ-



ფოთებითაა გამოწვეული იმასთან დაკავშირებით, რომ ვაშინგტონის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა ახალი ადმინისტრაციის პირობებში შესაძლოა, საქართველოსადმი უფრო პასიური დამოკიდებულებით შეიცვალოს. არჩეულ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ხომ არაერთხელ უთქვამს, რომ აშშ სხვა ქვეყნების საქმეებში არ უნდა ერეოდეს. გაიხსენეს თბილისში იგივე აპატურაის ორი წლის წინანდელი რეპლიკაც, „ანექსიას იურიდიული ჩარჩოები აქვს“ და „საქართველოში რუსეთის ქმედებები უკრაინისგან განსხვავებულად ვითარდებაო“.

ცეცხლში შესხმულ ნავთად იქცა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ რუსული გეოგრაფიული საზოგადოების პრემიით დაჯილდოების დროს წარმოთქმული ხუმრობაც: „**სად მთავრდება რუსეთის საზღვარი? რუსეთის საზღვარი მთავრდება ბერინგის სრუტის გავლით აშშ-სთან. რუსეთის საზღვარი არსად მთავრდებაო“.** თბილისში ბევრმა ხუმრობა სერიოზულად აღიქვა.

თუმცა პოლიტოლოგ **გიორგი გობრონიძის** აზრით, სამხრეთ კავასიისა და უშუალოდ საქართველოს მიმართ აშშ-ისა და ნატოს ყურადღების შესაძლო შესუსტებასთან დაკავშირებული შეშფოთება უსაფუძვლოა:

**„აშშ-საქართველოს ურთიერთობები არ არის დამოკიდებული მხოლოდ ლიდერებზე. არსებობს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც, მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასაც მოიცავს. ანუ, ჩვენი ურთიერთობები უკვე ინსტრუმენტირებულია პრაქტიკულ დოკუმენტებში და წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელიც ორივე მხარეს აქვს აღებული. და აშშ-ს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ძალზე სერიოზული თანამიმდევრულობა ახასიათებს საგარეო პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, აშშ შეიძლება, მეტად ან ნაკლებად აქტიური იყოს, მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში ან ახლო აღმოსავლეთში და ა.შ., მაგრამ მაინც აქტიური იქნება. და კიდევ ძალიან ბევრია დამოკიდებული ქართულ დიპლომატიაზე — როგორ მოვახდენთ საკუთარი თავის პოზიციონირებას და რას შევთავაზებთ აშშ-ს. მაგალითად, ჩვენი მონაწილეობა ავღანეთში მთელი მისიის 12%-ს შეადგენს, რაც საქართველოს უზარმაზარი შენატანია საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ანუ, ჩვენ უკვე გვაქვს კარგი კაპიტალი და შეგვიძლია, კარგი პოზიციიდან დავიწყოთ მოლაპარაკება აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან“.**

ამ ფონზე საინტერესოდ გამოიყურება ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორების ჯონ მაკკეინისა და ლინდსი გრემის თბილისში დაგეგმილი ვიზიტი, რომელიც დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე, ანუ 20 იანვრამდე უნდა გაიმართოს. სენატორები საქართველოს, ესტონეთსა და უკრაინას ესტუმრებიან, რათა დაარწმუნონ ამ ქვეყნების ხელმძღვანელობები, რომ აშშ კვლავინდებურად დაუპირისპირდება რუსეთის აგრესიას.

თუმცა თბილისში, როგორც ჩანს, რუსეთთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში აშშ-ის დახმარების მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვთ. ირიბად ეს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამაც** დაადასტურა მოსკოვსა და სოხუმს შორის ახალი ე.წ. შეთანხმების გაფორმების კომენტირებისას:

**„ჩვენი მთავარი მიზანია, მაღალ ბრძოლისუნარიანობას მივაღწიოთ. ჩვენ ჩვენი ძალებითა და შესაძლებლობებით უნდა შეგვეძლოს, ნებისმიერ გამოწვევას ადექვატური პასუხი გავცეთ. ამდენად, ჩვენი შეიარაღებული ძალების სიძლიერე საუკეთესო პრევენციული ზომაა აგრესიის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას საბრძოლო მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის დონის ასამაღლებლად“.**

**„ეხო კავკაზა“**

# საყოველთაო უსაფრთხოების პრინციპით

(მეხუთე გვერდიდან)

ბუნებრივია, რომ ამ მოცულობის სამუშაოთა ჩატარება მარტო შს სამინისტროს ერთი სტრუქტურის ძალებით, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, ამის განსახორციელებლად აუცილებლადაა საჭირო როგორც ადგილობრივი პოლიციის ძალების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების აქტიური მხარდაჭერა. სწორედ ამ მიზნით, ერთობლივი ოპერატიული ცენტრის თანამშრმლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებთან — თვითმმართველი ქალაქების მერებთან, გუბერნატორებთან, საკრებულოებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან. შეხვედრების დროს მხარეებმა პროექტის განხორციელებაში საკუთარი შესაძლებლობები შეაფასეს, მრავალი საქმიანი შენიშვნა გამოთქვეს და ერთობლივ ღონისძიებებზე შეთანხმდნენ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი პროექტისადმი ქვეყნის უკლებლივ ყველა მხარეში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმული მხარდაჭერა და შს სამინისტროს ახალ სტრუქტურასთან თანამშრომლობის მზადყოფნა. კერძოდ, **ახალი წლიდან მუნიციპალიტეტები თავიანთ გამგებლობაში არსებულ ტერიტორიებზე იდენტიფიცირებულ წერტილებში ავტომანქანის სიჩქარის მზომფიქსირებულ რადარებს, პიროვნების სახის, ავტომანქანის ამომცნობ მართვად და სტაციონარულ კამერებს დააყენებენ. მხარეთა შორის საქმიან კონტაქტში დატვირთვა ასევე აქვს შს სამინისტროსაც, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს არსებული და დამატებითი კამერების/რადარებისთვის ქვეყნის მასშტაბით ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის მოწყობა; დამატებითი კამერების/რადარების მონტაჟი; მათთვის ვიდეო-ანალიტიკური ლიცენზიების შეძენა ასევე სისტემაში ჩართვა და ოპერირება; მთელი სისტემის მოვლა-შენახვა.**

ცალკეა აღსანიშნავი, რომ ეგრეთ წოდებული „სექციური რადარების“ მეშვეობით სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის თანამშრომლებს ქვეყანაში ტრანზიტული ტვირთების შემოსვლის, ტერიტორიაზე მოძრაობისა და საზღვრებს გარეთ გასვლის დროის გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს და დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის შემთხვევათა პრევენციის შესაძლებლობას შექმნის.

აქედან და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროექტით „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ შს სამინისტრომ მეტად მნიშვნელოვანი კომპლექსური რეფორმა წამოიწყო, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს როგორც საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში, ასევე საერთაშორისო და შიდა უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა დაცულობის დონის ამაღლებაში, დანაშაულის პრევენციაში, რამაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს საქართველოს მიმზიდველობა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინტერნეტიდან**

# კლაუდია ეფენბერგის გზა მედიისაკენ

**ლეგენდარული გერმანელი მობურთალის შტეფან ეფენბერგის მეუღლე კლაუდია ეფენბერგი შეიძლება მობერდა, მოსუქდა და წლებმაც თავისი დაღი დაასვა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ მუდმივად ეპატაჟურობდეს და, რამე რომ იყოს, პოპულარობით ბევრ ახალგაზრდას ჩაისვამს ჯიბეში.**




„ეფეს“ მეორე ნახევარი ერთ დროს მსახიობობდა და ამ ქალს სრულიად გერმანიის ელიტურ საზოგადოებაში თავისი სათქმელი ყოველთვის ეთქმოდა. ერთი ისაა, რომ თავად დიდი ეფენბერგი არაა ისეთი კაცი, რომელსაც საზოგადოების „სიბრჭყვიალე“ მოსწონს და ქმრის ხასიათი კლაუდიას მუდამ უშლიდა ხელს.

ამას წინათ კლაუდიამ ჟურნალისტები სახლში მიიწვია, გემრიელობებით გაუმასპინძლდა და მიმდინარე მოვლენებზეც კოხტად წაიჭორავა. თურმე ნუ იტყვით და ეფენბერგის ცოლს საკუთარი გლამურული ჟურნალის გაკეთება სურს და საამისოდ პარტნიორებს ეძებს. აი, ჟურნალი ის იქნება თუ იქნება!

**როსტომ რაჭველიშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „29 ნოემბრის“
№ 01-3/404 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები"-ს I-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 25 843 მ$^3$) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 495 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 449,5 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 600 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „29 ნოემბრის“
№ 01-3/406 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშ-ხრეშის გამოვლინები"-ს მე-II-უბანი. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 26 585 მ$^3$) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 625 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 462.5 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 3 700 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## დაკავებული არიან თაღლითები

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური პროდუქციის აქციზური მარკის გარეშე, დიდი ოდენობით, ჯგუფურად რეალიზაციის ფაქტზე, ორი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, ქალაქ თბილისში, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში მოახდინეს უაქციზო, სომხური წარმოების თამბაქოს ნაწარმის, სიგარეტი „MASTER"-ის უკანონოდ რეალიზაცია. საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული ჩხრეკის შედეგად, ბრალდებულებისგან ამოღებულია დიდი ოდენობით უაქციზო თამბაქოს ნაწარმი.

## არსენალი მანქანაში

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული ვ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და გასაღების ბრალდებით, ხოლო

1986 წელს დაბადებული ი.გ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ი.გ.-ს კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას, კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ბრაუნინგის კონსტრუქციის პისტოლეტი, 2 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 33 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისათვის. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები ი.გ.-ს ვ.ტ.-მ გადასცა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით).

დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „29 ნოემბრის“
№ 01-3/405 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

<table>
<tr><th>N</th><th>სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა</th><th>საბადო ან გამოვლინება</th><th>კატეგორია</th><th>ლიცენზიის მოქმედების ვადა</th><th>მოსაპოვებელი წიაღისეულისმოცულობა მ3/წელიწადში</th><th>საწყისი ფასი (ლარი)</th><th>ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)</th></tr>
<tr><td>1</td><td>ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება</td><td>მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება წყალმომარაგების მიზნით. (22 ჭაბურღილიდან).</td><td>$P_2$</td><td>5 წელი</td><td>30 000 000 მ3/წელიწადში</td><td>10 000</td><td>2 200</td></tr>
<tr><td>2</td><td>ქ.ბათუმი, ადლიის დასახლება</td><td>მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით</td><td>P</td><td>3 წელი</td><td>1 825 მ3/წელიწადში</td><td>21,00</td><td>204,20</td></tr>
<tr><td colspan="3">ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება</td><td colspan="5">აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო</td></tr>
<tr><td colspan="3">საიდენტიფიკაციო ნომერი</td><td colspan="5">245444844</td></tr>
<tr><td colspan="3">მისამართი/ტელეფონი</td><td colspan="5">ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10</td></tr>
<tr><td colspan="3">სარგებლობის ლიცენზიის სახე</td><td colspan="5">სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია</td></tr>
<tr><td colspan="3">სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის</td><td colspan="5">ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br><br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br><br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br><br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br><br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br><br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br><br>ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას;<br><br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br><br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.</td></tr>
<tr><td colspan="3">აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი</td><td colspan="5">აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე</td></tr>
<tr><td colspan="3">აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი</td><td colspan="5">ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე</td></tr>
<tr><td colspan="3">სხვა მონაცემები</td><td colspan="5">აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში</td></tr>
</table>

დედაქალაქი

# უცხოური ტექნოლოგიებით, ადგილობრივი პროდუქციით

**სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-16 საერთაშორისო გამოფენა გახსნა 30 ნოემბერს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა:**

— გამოფენაზე წარმოდგენილია თვრამეტი ქვეყნის 150-ზე მეტი კომპანია. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ სპეციალისტებს უცხოელ კოლეგებთან ინტენსიური ურთიერთობები აქვთ. ასევე მეტად სასიხარულოა, რომ ერთ-ერთ პავილიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქციაა წარმოდგენილი. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა გამოფენა საქართველოში ევროკავშირის პროგრამა ENP-ARD-ის მხარდაჭერით ტარდება და იმედს გამოვთქვამ, რომ იგი ძალიან დიდი წარმატებით ჩაივლის.



სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამმუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც წლეულს „ექსპო ჯორჯიას“ მე-6 და მე-11 პავილიონები, ასევე გარე პერიმეტრი მასპინძლობს, ჩვენში აგრომიმართულების ერთ-ერთ მასშტაბურ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელზეც სფეროში არსებული უახლესი ტექნოლოგიები, მიმდინარე ტენდენციები, თანამედროვე მანქანა-დანადგარები და მომსახურებაა წარმოდგენილი.



აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება როგორც გამოფენებში მონაწილე კომპანიების, ასევე მათ დამთვალიერებელთა რიცხოვნობა. ცალკეა აღსანიშნავი, რომ გამოფენაზე Argo /Food/Drink/Tech/2016, რომელიც ბიზნესის განვითარებისა და ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარების საუკეთესო შესაძლებლობაა, უკვე მეორე წელია, სამამულო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა იმართება. წლეულს №6 პავილიონში დაახლოებით 40-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა საკუთარი წარმოების პროდუქცია — თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწნილი, ასევე ხილბოსტნეული წარადგინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლევანდელ გამოფენაში მონაწილეობს თითქმის ორი ათეული ქვეყნის, მათ შორის უკრაინის, სომხეთის, პოლონეთის, იტალიის, უნგრეთის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, ლიტვის, თურქეთისა და სხვ. 150-მდე კომპანია.



გამოფენაზე Argo /Food/Drink/Tech/2016 წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, ტარა და შესაფუთი მასალები, სასათბურე მეურნეობების ტექნოლოგიები, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქი და პესტიციდები, საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიები, ასევე გამაგრილებელი სასმელები და კვების პროდუქტები.



**ნინო ალექსანდრია,**

**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „30 ნოემბრის“
№ 01-3/411 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მირე დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. წონიარისის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება”. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 32 000 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. წონიარისი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 565 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 565,50 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 500 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „29 ნოემბრის“
№ 01-3/410 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზვარეს მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება”. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 20 000 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზვარე. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 479 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 347,9 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 800 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 05 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 05 იანვარს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ახალი სპორტული მოედანი ჩიქოვანის ქუჩაზე

**საბურთალოს** რაიონის გამგეობა ჩიქოვანის ქუჩაზე ორ ახალ, თანამედროვე სპორტულ მოედანს აშენებს. მიმდინარე სამუშაოები საბურთალოს რაიონის გამგებელმა რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად დაათვალიერა. ბექა მიქაუტაძემ ლევან გოგიჩაიშვილს სტიქიის ზონაში განხორციელებული სამუშაოებიც გააცნო და აღნიშნა, რომ ყველა დანაპირები, რაც გამგეობამ ამ უბნის მაცხოვრებლებს მისცა, აღნიშნული სტადიონების მშენებლობით შესრულებული იქნება.

აღსანიშნავია, რომ სტადიონის მოწყობამდე გამგეობამ ჩიქოვანის №30-სა და №4 კორპუსებს შორის ორი საყრდენი კედელი ააშენა, რომელიც მოედნის კონსტრუქციის უსაფრთხოებისათვის იყო აუცილებელი. ამჟამად, უკვე დამონტაჟებულია მეტალის ბოძები და მიმდინარეობს მავთულბადის დამაგრება. საფეხბურთო მოედანს 7 მეტრის, ხოლო საკალათბურთოს – 4 მეტრის სიმაღლის მესერი გაუკეთდება. სტადიონებზე დაიგება თანამედროვე ხელოვნური ბალახის საფარი.

ობიექტზე კომპანია „დოკასპორტი“ მუშაობს. პროექტის ღირებულება 98 000 ლარია.

## ვაკის პარკში ახალი ხეები დარგეს

**საშემოდგომო** გამწვანებითი სამუშაოების ფარგლებში ვაკის პარკში ახალი ხეები დარგეს. კერძოდ, აქციის ფარგლებში, პარკის ტერიტორიაზე „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ ესპანური სოჭი და მჩხვლეტავი ნაძვი დაირგო. აქციის ფარგლებში ვაკის პარკში 21 ხე დაირგო. საერთო ჯამში კი „თბილსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებულ ბაღებსა და პარკებში სხვადასხვა ჯიშის 161 ხე-მცენარე დაირგვება, მათ შორის მჩხვლეტავი ნაძვი, ესპანური სოჭი, უთხოვარა და დასავლეთის ტუია.



**კალათბურთი**

## დავით უსტიაშვილი:
# „ძლიერი ჯგუფია, მაგრამ სუსტები არც ჩვენ ვართ“

**ევროპელი და მათ შორის ქართველი კალათბურთელებისათვის 2017 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კონტინენტის ჩემპიონატის ფინალური ტურნირია, რომლის ჯგუფურ ეტაპსაც ერთბაშად ოთხი სახელმწიფო: ფინეთი, ისრაელი, რუმინეთი და თურქეთი უმასპინძლებს.**

ქართველი გულშემატკივრების ყურადღება ისრაელისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც ამ ქვეყნის, უკრაინის, ლიტვის, იტალიისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებთან ერთად საქართველოს ნაკრები იასპარეზებს.

გასულ კვირაში გამართული კენჭისყრისა და ქართულ კალათბურთში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს „ბ“ნაკრებისა და სუპერლიგის მონაწილე „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გვესაუბრება.



**— რა აზრის ხართ „ბ“ ჯგუფზე, სადაც საქართველო მოხვდა?**

— შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით.

**— რომელ ნაკრებს თვლით ჯგუფის ფავორიტად?**

— ლიტვას, რომელიც ყველა ტურნირზე სტაბილურად თამაშობს. დანარჩენი ხუთი გუნდიდან ყველას აქვს შანსი პირველ ოთხეულში მოხვდეს და მომდევნო ეტაპზე ითამაშოს. შეიძლება ითქვას, რომ „ბ“ ჯგუფში აუტსაიდერი გუნდი არ არსებობს. ამის მიუხედავად, თუ ჩვენი ნაკრების ყველა კალათბურთელი ფორმაში იქნება, ჯგუფური ეტაპის პირველ ოთხეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს. გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედიც უნდა გვქონდეს, რადგან ისრაელთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს და ისრაელში მცხოვრები ქართველებიც მხარს დაგვიჭერენ.

**— „ბ“ ნაკრებზეც გკითხავთ, რომელიც 2015- 2016 წლების სეზონის დასრულების შემდეგ შეიქმნა და მისი პირველი მთავარი მწვრთნელი თქვენ ხართ. რას იტყვით, გაამართლა ამ ნაკრების შექმნამ?**

— რა თქმა უნდა, გაამართლა. „ბ“ ნაკრებში იმ კალათბურთელებს ეძლევათ თავის გამოჩენის შანსი, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში ვერ ხვდებიან. ამით მათ კიდევ ერთხელ ეძლევათ შანსი, რათა ქვეყნის პირველ ნაკრებში თამაშის უფლება მოიპოვონ.

**— „ბათუმზეც“ ვისაუბროთ. რა მოხდა „ოლიმპთან“ შეხვედრაში, რატომ არ დასრულდა თამაში?**

— ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წამით ადრე , როცა ანგარიში იყო 81:78 ჩვენს სასარგებლოდ, მსაჯმა „ოლიმპის“ ერთ-ერთი კალათბურთელი დააჯარიმა, რამაც გუნდის პროტესტი გამოიწვია. ამას მსაჯმა ტექნიკურიც მიაყოლა, რის შემდეგაც „ოლიმპმა“ მოედანი დატოვა.

**— თქვენი აზრით, ვინ იყო დამნაშავე ?**

— მე თავს შევიკავებ კომენტარისგან, ამაზე ფედერაციის სადისციპლინო კომისია იმსჯელებს.

**— რა არის ამ ჩემპიონატში „ბათუმის“ მიზანი?**

— პროგრამა-მინიმუმი პირველ ოთხეულში თამაშია. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**თანადგომა**

# „პსჟ“-ს 40 მილიონი - „შაპეკოენსეს“

**ბრაზილიურ საფეხბურთო კლუბ „შაპეკოენსეს“ გვერდში მთელი მსოფლიო უდგას. რადიო gaucha-ს ინფორმაციით, საფრანგეთის ჩემპიონმა „პარი სენ-ჟერმენმა“ სურვილი გამოთქვა, რომ ავიაკატასტროფაში მოყოლილ გუნდს დაეხმაროს და მზადაა მის ანგარიშზე 40 მილიონი დოლარი გადარიცხოს. როგორც ირკვევა, „პსჟ“-მ ეს ფიფა-საც აცნობა.**



პარიზული კლუბის ვებ-გვერდზე სამძიმრის წერილი დევს, მაგრამ ხსენებული 40 მილიონის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა.

„შაპეკოენსეს“ გვერდში ყველა ისე უდგას, როგორც შეუძლია. კერძოდ, ბრაზილიურმა გუნდებმა ამავე ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციას მიმართეს, რომ „შაპეკოენსე“ მომდევნო სამი სეზონი ქვედა ლიგაში არ დააქვეითონ და ამასთან, ფეხბურთელების იჯარით, უფასო დათმობაზეც არიან მზად. გარდა ამისა, კოპა სუდამერიკანას მეორე ფინალისტმა — „ატლეტიკო ნასიონალმა“ კონმებოლს სთხოვა, ტიტული „შაპეკოენსეს“ გადასცეს...

მოგეხსენებათ, მედელინის მახლობლად ჩამოვარდნილ თვითმფრინავში 81 ადამიანი იმყოფებოდა (ფეხბურთელები, გუნდის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ეკიპაჟის წევრები) და მათგან 76 დაიღუპა. გადარჩენილია სამი ფეხბურთელი: მეკარე ფოლმანი, რომელსაც ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა, ნეტო, რომელსაც თავის დაზიანება აღენიშნება და რუშელი, ვისაც ზურგის ტვინის დაზიანება დაუდგინეს.

გარდა ამისა, ის 9 ფეხბურთელიც გადაურჩა სიკვდილს, რომლებიც გუნდს კოლუმბიაში საერთოდ არ გაჰყოლიან: ნენემი, დემერსონი, იორანი, ნივალდო, მარტინუჩიო, ანდრეი, მოიზეში, მარსელო ბოეკი და რაფაელ ლიმა.

**გიორგი შოთაძე**

**რაგბი**



**„მსოფლიო რაგბის“ მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგ-ლისტში ორადორი მნიშვნელოვანი გადაადგილებაა, თანაც ორივე — მინიმალური, არადა, მთელი პლანეტის მასშტაბით არაერთი საინტერესო მატჩი გაიმართა.**

# მადლობა ტონგას!

## „ბორჯღალოსნებმა“ რეიტინგის მე-12 საფეხური შეინარჩუნეს

რაგბის ქართველ გულშემატკივარს უპირველესად, ცხადია, „ბორჯღალოსანთა“ მდგომარეობა ადარდებდა, რადგან შოტლანდიაში წაგების მაღალი ალბათობის ფონზე ჩვენს გუნდს დაქვეითება ემუქრებოდა. იტალიის ნაკრებმა ერთი კვირით ადრე სამხრეთ აფრიკას მოუგო და ქართველებთან ჩამორჩენა ქულის 8 მეასედამდე დაიყვანა, ხოლო თავად შემოდგომის ბოლო ტესტში ტონგის ნაკრებს მასპინძლობდა.

სარეიტინგო თვალსაზრისით, საუკეთესო ვარიანტი კილმარნოკში „ბორჯღალოსნების“ გამარჯვება იქნებოდა, რომელიც რეიტინგში მე-11 ადგილზე დაგვაბრუნებდა, მაგრამ რაც მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება — სქოთებმა 43:16 მოუგეს ჩვენს ნაკრებს. თუმცა, რაგბის ღმერთებმა არ ისურვეს ქართველების დაქვეითება: იტალიაში ტონგელთა დამრტყმელმა ტანე ტაკულუამ „გაწითლებულ დროში“ საბედისწერო ჯარიმით იტალიელთა იმედები დაასამარა და კუნძულელთა სენსაციური გამარჯვება დააფიქსირა — 19:17. აპენინელთა ამ მარცხმა ქართველებისგან ჩამორჩენა 0,08-დან 1,67-მდე გაზარდა, ხოლო ტონგამ რეიტინგში სამოას გადაუსწრო და მე-14 ადგილზე დაფუძნდა.

მთავარი სარეიტინგო სიახლე კი „ბოკეს“ ვარდნის გაგრძელება იყო. სამხრეთ აფრიკის ნაკრები ორ კვირაში მე-4 ადგილიდან მე-6 საფეხურზე დაეშვა. ირლანდიის შემდეგ „ქურციკებს“ უელსმაც გაუსწრო — სამხრეთაფრიკელებს უმასპინძლა და 27:13 დაამარცხა.

*მსოფლიო რაგბის ახალი რეიტინგი.*

*1 (1). ახალი ზელანდია 94,78, 2 (2). ინგლისი 89,84, 3 (3). ავსტრალია 86,97, 4 (4). ირლანდია 84,62, 5 (6). უელსი 82,55, 6 (5). სამხრეთ აფრიკა 81,79, 7 (7). შოტლანდია 80,67, 8 (8). საფრანგეთი 80,13, 9 (9). არგენტინა 79,91, 10 (10). ფიჯი 76,46, 11 (11). იაპონია 74,22, 12 (12). საქართველო 74,14, 13 (13). იტალია 72,47, 14 (15). ტონგა 71,94, 15 (14). სამოა 71,25, 16 (16). რუმინეთი 69,36, 17 (17). აშშ 64,66, 18 (18). კანადა 63,95, 19 (19). რუსეთი 63,25, 20 (20). ნამიბია 62,78.*

**კობა კობახიძე**

**ჩოგბურთი**

## დელ პოტრო:
# „მეხუთე სეტში თითი მომტყდა“

**დევისის თასის მოგების შემდეგ არგენტინელთა ლიდერმა ხუან მარტინ დელ პოტრომ მცირე კომენტარი გააკეთა.**



„მეხუთე სეტში ბურთის დარტყმის დროს მარცხენა ხელის თითი მოვიტეხე. ემოციური თვალსაზრისით მატჩი ძალიან დამქანცველი გამოდგა, მაგრამ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვე. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვისაც ჩემი სწამდათ და უფლება არ მომცეს უმძიმესი ტრავმების შემდეგ ჩოგბურთიდან წავსულიყავი. ახლა კი აქ ვარ და ჩემს ქვეყანას გამარჯვება მოვუტანე“ — განაცხადა დელ პოტრომ.

შეგახსენებთ, რომ დელ პოტრომ დევისის თასის მეოთხე მატჩში მარინ ჩილიჩთან 5-საათიან შეხვედრაში 6:7, 2:6, 7:5, 6:4, 6:3 იმარჯვა, თანაც მეხუთე სეტში ის მარცხენა ხელის ტრავმირებული თითით თამაშობდა.

**ბადრი იაშვილი**

**დანაკარგი**

# გარდაიცვალა მარკ ტაიმანოვი

**სანკტ-პეტერბურგში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრეტენდენტთა ტურნირის ორგზის მონაწილე მარკ ტაიმანოვი.**



ტაიმანოვი საჭადრაკო სამყაროში ასევე ცნობილი იყო, როგორც კარგი თეორეტიკოსი. მან დიდი წვლილი შეიტანა დებიუტების თეორიის დახვეწაში (სიცილიური და ნიმცოვიჩის დაცვა).

იგი ჭადრაკის გარდა გატაცებული იყო მუსიკით, კერძოდ — ფორტეპიანოზე დაკვრით, ასევე დაკავებული იყო საჭადრაკო ჟურნალისტიკით, მუშაობდა ჟურნალ „ოგონიოკში“.

**ბეჟან დოლიძე**

# დაუმარცხებელი გენერლის დაბრუნება

*მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა,*
*მე ვარ საქართველოს გენერალი!*
**გიორგი მაზნიაშვილი.**

**მაზნიაშვილისა და წინამძღვრიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე სკვერში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტი გუშინ გაიხსნა. სკულპტურა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილესთან, პოლკოვნიკ ზაზა ჩხაიძესთან ერთად გახსნა.**

საქართველოს ეროვნული გმირის, დაუმარცხებელ გენერლად წოდებული გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტის ავტორია მოქანდაკე **გენო ზაქარაია.**

**„გენერალი მაზნიაშვილი იყო ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თავდადებით იბრძოლა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ყოფილიყო ერთიანი. სწორედ მისი გმირული ღვაწლის დაფასების მიზნით, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით და თბილისის მერიის ორგანიზებით, დაიდგა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც არის სიმბოლო გამარჯვებისა. ასევე, სიმბოლო იმისა, რომ არასოდეს არ დავიხიოთ უკან, როგორი**



**ძლიერიც არ უნდა იყოს მტერი,“** — განაცხადა თბილისის მერმა.

გიორგი მაზნიაშვილი 1871 წელს კასპის რაიონში, სოფელ სასირეთში დაიბადა. იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მაზნიაშვილი მეფის არმიაში მსახურობდა. იგი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, ასევე, რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში. გიორგი მაზნიაშვილი ჯერ მე-11 არმიის, შემდეგ კი თურქების წინააღმდეგ იბრძოდა, რის შედეგადაც ქართველებმა ბათუმი და მისი ოლქი დაიბრუნეს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაზნიაშვილი საფრანგეთში, ემიგრაციაში, ცხოვრობდა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1937 წელს იგი დააპატიმრეს და შვილთან, ივანე მაზნიაშვილთან ერთად, გასამართლების გარეშე დახვრიტეს. მისი საფლავის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

**იყიდება სოლოლაკში მაჩაბლის 7 ნომერში I სართულზე (ბელეტაჟი) ბინა, საცხოვრებელი ფართი 150 კვმ, 60 კვმ ნახევარ სარდაფით. გამოდგება საცხოვრებლად, საოფისედ და სასტუმროდაც. ფასი 200 ათასი აშშ დოლარი. ტელ. 593235419.**

## ისევ გამათბობელი აფეთდა

**თბილისში ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად მამაკაცმა მძიმე დამწვრობა მიიღო. მას სახლში დამონტაჟებული გამათბობელი აუფეთქდა და სხეულის 60 % -ზე დამწვრობა მიიღო.**

ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.




## სანთელი

**საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების აქტიური მონაწილე, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პირველი სამხედრო კომისარი, ვეტერანული მოძრაობის აქტიური მონაწილე, თადარიგის პოლკოვნიკი**



### თორნიკე პაპავა

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**ნოდარ ემუხვარის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაუგრძნობს იდრის თორდიას ოჯახს**

### 18 წლის ნიკას

**ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.**

---

**სპარტაკ და მანანა ქობულიები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ ოჯახის უახლოეს მეგობარს, ცნობილი ექიმს თეა თორდიას შვილის**

### 18 წლის ნიკას

**გარდაცვალების გამო.**

**◉ რას არ გაიგებ!**

## მილიარდერების ახალი სიყვარული

**იზოლირებული ქვეყანა, ასე ეძახდნენ ახალ ზელანდიას, დღეს კი იგი მილიარდერების საოცნებო ადგილია. მსოფლიოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ტერორისტული აქტების სიმრავლემ და მოსახლეობის ზრდამ, ეს შორეული ქვეყანა სანატრელი გახადა.**

მათ შორის არიან მილიარდერები მთელი მსოფლიოდან: მაიკლ ნოკი — ფინანსისტი ჰონგ-კონგიდან, ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი ჯეიმს კამერუნი, ჩინეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი ჯეკ მა და კიდევ არაერთი უმდიდრესი პიროვნება მიისწრაფის ახალი ზელანდიისკენ.




აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ზელანდია სულ ახლახან დასახელდა ნომერ პირველ ქვეყნად ბიზნესის კეთების სფეროში და სინგაპურიც კი უკან ჩამოიტოვა. იგი ასევე ლიდერობს მსოფლიოს სასურველი ქვეყნების ათეულშიც. ამ კუნძულ-სახელმწიფოში დემოკრატიის უმაღლესი დონეა, არ არის კორუფცია... ადამიანის უსაფრთხოება და კიდევ მრავალი დადებითი ფაქტორი სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია.




**ვატიკანის წარმომადგენელმა, არქიეპისკოპოსმა ბერნარდიტო აუსამ, გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე წარადგინა მოხსენება, რომელიც მსოფლიოში სასმელი წყლის პრობლემას ეხება. პარადოქსია, რომ დედამიწის ორი მესამედი წყლისგან შედგება, თუმცა მტკნარი წყლის რაოდენობა ყოველდღიურად მცირდება.**

ეს თემა ნოემბრის თვეში აფრიკის სახელმწიფომ სენეგალმა წამოსწია. დღეს თუ კონფლიქტების ძირითადი მიზეზი ნავთობი და მიწაა, მომავალში უწყლობა დიდ პრობლემებს შეუქმნის მსოფლიოს.

დედამიწაზე უამრავი ღარიბი ადამიანია, რომელიც უხარისხო წყალს სვამს, რაც მათი სიკვდილიანობის რიცხვს ზრდის. მზარდი ტენდენცია წყლის ბიზნესად ქცევისა ამ მოსახლეობას უწყლოდ დატოვებას უქადის.

არქიეპისკოპოსმა იქ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა წყლის დეფიციტის გლობალურ პრობლემაზე, რომელმაც შესაძლოა, ომამდეც კი მიიყვანოს ფულზე გაწუწკებული კაცობრიობა.

მოამზადა **რუსუდან ქობულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5311; ევრო - 2.6825;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1545;
100 რუბლი - 3.8922; თურქული ლირა - 0.7400;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4350;
1000 სომხური დრამი - 5.2698.

**ამინდი 30 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1 | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -1 | დღე +8 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3 | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0 | დღე +8 |
| თბილისი: | ღამე +5 | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE